საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები
Georgian Organisation of the Scout Movement - Scouts of Georgia
www.scout.ge

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის" უფროსს
ბატონ გიგა გაბელაიას,

ბატონო გიგა,

მიმდინარე წლის 26 აგვისტო - 1 სექტემბერი, საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით, ატარებს საზაფხულო ბანაკს „თავგადასვალი 2018".

გთხოვთ, 2018 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება №მ/ზ-70 საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 30% გადმოგვირიცხოთ ავანსის სახით.

პატივისცემით,

გიორგი ხვინთელანი 22.08.2018

თავმჯდომარე

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია)

## FG/18 017150

---

ვის: **სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრს**

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია-მ** (ს/კ: 211395989), შემდგომში "მიმწოდებელი", სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის წინაშე, შემდგომში "ბენეფიციარი", იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანტიის სახით (პროგრამა "მომავლის ბანაკი 2018"-ის პროექტის "თავგადასავალი 2018"-ის ფარგლებში სკაუტური საზაფხულო ბანაკის გამართვის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად. ) მის მიერ მოთხოვნილ საავანსო გადახდის თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ "მიმწოდებლის" სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე "მიმწოდებლის" სახელით არაუმეტეს თანხაზე **15 000,00 (თხუთმეტი ათასი) ლარი** და ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ზემო აღნიშნული თანხის გადახდაზე "მიმწოდებლის" მიერ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან 2018 წლის 22 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით № მ/ბ-70 ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე.

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა ავტომატურად შემცირდება "მიმწოდებლის" მიერ "ბენეფიციარი"-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. საგარანტიო უზრუნველყოფა **ძალაშია 2018 წლის 23 აგვისტოდან 2018 წლის 02 ოქტომბრის** ჩათვლით, რის შემდეგაც მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდასზე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანტია გაიცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2015 წლის 11 მარტს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 133/15-ის საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674,
კოსტავას ქ. 67, თბილისი 0160

მძინარიშვილი მედეა
ფინანსური რისკების მენეჯერი

თარიღი: 23.08.2018

017150

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საბანკო გარანტიის ხელშეკრულება № FG/18 017150
მომსახურების გენერალური ხელშეკრულება № GA 133/15 -ს დანართი

ქ. თბილისი თარიღი : 23.08.2018

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები

| | |
|---|---|
| *"გარანტი":* | *ს.ს. "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"* |
| *მისამართი:* | *ქ. თბილისი, მ. კოსტავას №67* |
| *წარმომადგენელი:* | *გენერალური დირექტორი* |
| *სახელი და გვარი:* | *პაატა ლომაძე* |
| *წარმომადგენელი:* | *ფინანსური დირექტორი* |
| *სახელი და გვარი:* | *ლევან ზურიშვილი* |
| | |
| *"პრინციპალი"* | *ააიპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები* |
| *იურიდიული მისამართი :* | *თბილისი, ბაკურციხის ქ. № 12/15* |
| *რეგისტრაციის № :* | *211395989* |
| *წარმომადგენელი :* | *დირექტორი* |
| *სახელი და გვარი :* | *გიორგი ხუციშვილი* |

"გარანტი" და "პრინციპალი", ემყარებიან რა საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა შორის დადებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულების") საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი : 1. ხელშეკრულების საგანი

მხარეთა შორის გაფორმებული "ძირითადი ხელშეკრულების" პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად "გარანტი" აძლევს საბანკო გარანტიას "პრინციპალს" "ბენეფიციართან" წარსადგენად, რომლის პირობებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების მე-2-ე მუხლში.

მუხლი : 2. საბანკო გარანტიის ძირითადი პირობები:

| | | |
|---|---|---|
| 2.1. | ძირითადი ხელშეკრულების ნომერი: | GA 133/15 |
| 2.2 | ძირითადი ხელშეკრულების დადების თარიღი: | 2015 წლის 11 მარტი |
| 2.3 | ბენეფიციარი: | სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი |
| 2.4 | გარანტიის თანხა: | 15000 ლარი |
| 2.5 | გარანტიის გაცემის საფუძველი: | ააიპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები კისრულობს ვალდებულებას სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის წინაშე პროგრამა "მომავლის ბანაკი 2018"-ის პროექტის "თავგადასავალი 2018"-ის ფარგლებში სკაუტური საზაფხულო ბანაკის გამართვის მომსახურების შესყიდვაზე წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად. 2018 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება № მ/ბ-70-ის თანახმად'ზე. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა საავანსო თანხის მიღება, რისთვისაც პრინციპალმა ბენეფიციარს უნდა წარუდგინოს საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა. |
| 2.6. | გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: | "გარანტი" კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის პირობების შესაბამისად. |
| 2.7. | საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტის" მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ "პრინციპალმა" არამიზნობრივად გახარჯა "ბენეფიციარის" მიერ ჩარიცხული თანხა და არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულების 2.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება. |
| 2,8 | საგარანტიო თანხის შემცირება: | საგარანტიო თანხა მცირდება „პრინციპალის" მიერ „ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. |
| 2,9 | გარანტიის მოქმედების ვადა: | წინამდებარე გარანტია მოქმედებს 2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით; მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ თარიღამდე. |
| 2,1 | გარანტიით სარგებლობის წლიური სარგებლის ოდენობა: | 6.1% (მინიმუმ 155 ლარი) |
| 2,11 | საკომისიო გარანტიის გაცემაზე: | 155 ლარი |
| 2,12 | საკომისიოს გადახდის | საგარანტიო თანხა გადახდილ უნდა იქნეს გარანტიის გაცემის დღეს |
| 2,13 | გარანტიის უზრუნველყოფა და დამატებითი პირობები: | ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება. |
| | | 0 |

მუხლი 3 მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "გარანტი" ვალდებულია:

3.1.1. "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის და ასეთი მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტების (ზარალის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩათვლით) მიღების საფუძველზე "ბენეფიციარს" გადაუხადოს თანხა საბანკო გარანტიით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში.

3.1.2. "ბენეფიციარის" მოთხოვნის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "პრინციპალის" და გადასცეს "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის ასლი და თანდართული დოკუმენტები;

3.1.3. განიხილოს "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა და შესაბამისი დოკუმენტები და გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საგარანტიო თანხის გაცემის თაობაზე;

3.1.4. დაუყოვნებლივ აცნობოს "ბენეფიციარს" და "პრინციპალს" მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი, თუ "ბენეფიციარის" მოთხოვნა არ შეესაბამება "გარანტიის" პირობებს ან იგი წარმოდგენილია გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

3.2. "გარანტი" უფლებამოსილია:

3.2.1. მოითხოვოს "პრინციპალს" "ბენეფიციარის" მიმართ ძირითადი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.2.2. მოითხოვოს "პრინციპალს" გარანტიის შესრულების გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში

3.2.3. არ დააკმაყოფილოს "ბენეფიციარის" მოთხოვნა, თუ "ბენეფიციარმა" არ შეასრულა "პრინციპალთან" გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, ან თუ მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას, არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ან თუ "გარანტს" მოთხოვნა წარედგინა გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ.

"გარანტი" "პრინციპალი"

3.2.4. მოითხოვოს "პრინციპალისგან" რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდება "ბენეფიციარს" წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე.
3.2.5. მოსთხოვოს "პრინციპალს" ანგარიში "ბენეფიციართან" გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3.3. "პრინციპალი" ვალდებულია:

3.3.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს "გარანტისა" და "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

3.3.2. გადაუხადოს "გარანტს" გარანტიის საზღაური წინამდებარე ხელშეკრულების დანართში გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში;

3.3.3. დააკმაყოფილოს "გარანტის" რეგრესული მოთხოვნა იმ თანხაზე, რომელიც "გარანტის" მიერ აუნაზღაურდა "ბენეფიციარს" საბანკო გარანტიის საფუძველზე. შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგრესულ მოთხოვნას დაემატება 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.3.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს "გარანტს" "ბენეფიციარის" მიმართ ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულების ნებისმიერი საფრთხის დადგომის შესახებ.

3.3.5. დროულად წარუდგინოს "გარანტს" "ბენეფიციარი"-ს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები, გაფორმებიდან მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში "პრინციპალს" დაეკისრება ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## მუხლი 3[1] საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

3.1 მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების (მათ შორის, უზრუნველყოფის ხელშეკრულების) პირობების კონფიდენციალობა.
3.2 აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:
3.2.1 იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად;
3.2.2 ინფორმაციას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
3.2.3 ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, ხელშეკრულების საფუძველზე პრინციპალი გარანტს ანიჭებს უპირობო უფლებას, იმ შემთხვევაში თუ მოხდება მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და „დამატებითი ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების დარღვევა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგისტრის ნომერი №06/5-51). რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს პრინციპალის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე დავალიანების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, გარანტიის რეგრესულ მოთხოვნასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგანს და მისი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო დავის არსებობის შემთხვევაში სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

## მუხლი 4 ხელშეკრულების ძალაში შესვლა, უთანხმოებათა გადაწყვეტის წესი და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

4.2. საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია 2.1. პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით.

4.3. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით.
4.4. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია "გარანტის" მისამართი.
4.5. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ორი ინახება "გარანტთან" ერთი "პრინციპალთან";

## მხარეთა ხელმოწერები

| | |
|---|---|
| **"გარანტი"** | **"პრინციპალი"** |
| **სს "ჯი პი აი ჰოლდინგი"** | ააიპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები |
| **მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას №67** | მის: თბილისი, ნიკოლაძის ქ. № 12/15 |
| **საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674** | საიდენტიფიკაციო კოდი: 211395989 |
| ფინანსური დირექტორის მოადგილის და ფინანსური დირექტორის ლევან ზურაბიშვილის მინდობილი პირი | დირექტორი |
| მედეა მინაშვილი ______________ | გიორგი ხუციშვილი |

**შემოსავლების სამსახური**

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
**211395989**

გადამხდელის დასახელება
**საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები**

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი
**ქ.ფოთი / ???? ქ. #15/12**

ელ-ფოსტა
**kanchaveli@gametv.ge**

ტელეფონი
**599688485**

**3. სსკ-ის 272-ე (საურავი) და 238-ე (საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა) მუხლების მიზნებისთვის, ერთიან სახაზინო კოდზე არსებულ ზედმეტობა/დავალიანებაში არ გაითვალისწინება მოსაკრებლებსა და ადმინისტრაციულ ჯარიმაში არსებული დავალიანება/ ზედმეტობა.**

თარიღი: 23/08/2018

**ID: 5798449, შეტყობინება: 2597431**

განცხადების ძებნა: **www.rs.ge/searchapp**

**შემოსავლების სამსახური**

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
**211395989**

გადამხდელის დასახელება
**საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები**

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი
**ქ.ფოთი / ???? ქ. #15/12**

ელ-ფოსტა
**kanchaveli@gametv.ge**

ტელეფონი
**599688485**

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა "საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია - საქართველოს სკაუტები"-ს (ს/კ 211395989) მასზედ რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 23/08/2018 წლის 16:26 საათის მდგომარეობით ერიცხება სალდირებული ზედმეტობა 11036.82 ლარი.

| გადასახადები | სალდო საანგარიშო პერიოდის დასახრულისთვის (მდგ.23/08/2018) | | | | დამატებით დარიცხული თანხები, რომელიც არ არის აღიარებული | გადავადებული აღიარებული ვალდებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი | ჯარიმა | საურავი | ზედმეტობა | | |
| ერთიანი სახაზინო კოდი | 0 | 0 | 0 | 11036.82 | 0 | 0 |
| დღგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოგების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ქონების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სხვა ჯარიმები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დღგ საბაჟო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აქციზის გადასახადი საბაჟოზე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იმპორტის გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 | 0 | 11036.82 | 0 | 0 |
| საურავები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ გადასახადები | 0 | 0 | 0 | 11036.82 | 0 | 0 |
| სულ ჯამი | 0 | 0 | 0 | 11036.82 | 0 | 0 |

**შენიშვნა**:

1. **დამატებით დარიცხული თანხები, რომლებიც არ არის აღიარებული შეადგენს 0 ლარს**.

(საგადასახადო დავალიანება არ არის აღიარებული თუ გადახდის/გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა არ არის გასული).

2. **გადავადებული აღიარებული ვალდებულებები შეადგენს 0 ლარს**.

(საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციისას; გადახდისუუნარობისას (გაკოტრება, რეაბილიტაცია); საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისა და მზღვეველის შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის და გადახდის გადავადების/შეჩერების სხვა შემთხვევებში).

თარიღი: 23/08/2018

ID: 5798449, **შტრიხკოდი**: 2597431

განცხადების ძებნა: **www.rs.ge/searchapp**

**ანგარიშის რეკვიზიტები**

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი | **TRESGE22**
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
2 299 299
info@rs.ge www.rs.ge

ამობეჭდვის თარიღი: 23.08.2018 04:40:23